Global Compact
Network Georgia

შვედეთი
Sverige

# კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო

# BUSINESS for SDG 2020




#ResponsibleBusinessMatters #GlobalGoalsLocalBusiness #UnitingBusiness #SDGs #SustainableFuture #GlobalGoals
#GlobalGoalsLocalBusiness #UnitingBusiness #SDGs #SustainableFuture #GlobalGoals
#GlobalGoalsLocalBusiness #UnitingBusiness #SDGs #GlobalGoals #GlobalGoals #ResponsibleBusinessMatters
#UnitingBusiness #SDGs #SustainableFuture #GlobalGoals #ResponsibleBusinessMatters #GlobalGoalsLocalBusiness
#GlobalGoals #ResponsibleBusinessMatters #GlobalGoalsLocalBusiness #UnitingBusiness #SDGs #SustainableFuture
#SustainableFuture #GlobalGoals #ResponsibleBusinessMatters #GlobalGoalsLocalBusiness #UnitingBusiness #SDGs

# 1 სიღარიბის აღმოფხვრა





ა



# აჭარა ჯგუფი

## უდაბნო

აჭარა ჯგუფის კორპორაციული მდგრადობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ქვეყანაში სიღარიბის აღმოფხვრა წარმოადგენს. კომპანიის პროექტი „უდაბნო“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სამუშაო ადგილების შექმნის საშუალებით სიღარიბის დონის შემცირებას ისახავს მიზნად.

პროექტში ამჟამად 60 ადამიანია დასაქმებული, რომელთა ნახევარი მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქებში ცხოვრობს.

„უდაბნო“ ადგილობრივებს საშუალებას აძლევს უშუალოდ ჩაერთონ იმ თანამედროვე აგრიკულტურული ინიციატივების განვითარებაში, რომლებიც უახლესი ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. დასაქმების ეს პროგრამა ასევე ზრდის ცნობიერებას აგრიკულტურაში არსებულ თანამედროვე ტრენდებზე, რომლის გამოყენებაც დასაქმებულებს შემდგომში საკუთარი ბიზნესების განსავითარებლად შეუძლიათ.

2017-2019 წლების განმავლობაში, პროექტის საშუალებით ჯამში 978 ადამიანი დასაქმდა, რამაც მნიშვნელოვანი პოზიტიური ეფექტი მოახდინა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე.



# კარფური

## ნატვრის ხე

„კარფურისთვის“ კორპორაციული პასუხისმგებლობა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. 2017 წლიდან, კომპანია ფინანსურად შეჭირვებულ ოჯახებს საზოგადოებაში სრულ ინტეგრაციაში უწყობს ხელს.

პროექტი „ნატვრის ხე“ უკვე სამი წელია სოციალურად დაუცველ ბავშვებს მათი სურვილების ახდენაში ეხმარება. ყოველწლიურად „კარფურის“ თანამშრომლები საქართველოს განათლების სამინისტროს დახმარებით უკავშირდებიან სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს და საჭიროებიდან გამომდინარე მათ საყოფაცხოვრებო ნივთებით, ტანსაცმლითა და საკვებით ამარაგებენ.

პროექტის ფარგლებში, „კარფურმა“ შეძლო 5000 ოჯახის არასრულწლოვან წევრს დახმარებოდა სურვილების ახდენაში.



EFES GEORGIA



# ეფეს საქართველო

## ფონდი ნატახტარი

„ეფესი“ უკვე არაერთი წელია ზრუნავს სიღარიბის აღმოფხვრასა და საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე. 2011 წელს, კომპანიამ დააფუძნა „ფონდი ნატახტარი,“ რომლის მიზანია მზრუნველობა მოკლებული მოზარდების დახმარება და მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

დაარსებიდან დღემდე, ფონდი თავის ბენეფიციარებს დაეხმარა ისეთი სერვისებით, როგორიცაა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, პროფესიული თუ უმაღლესი განათლების მიღების მხარდაჭერა, კომუნალური ხარჯების სრულად დაფარვა ან თანაგადახდა, შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფა. დამატებით, ფონდმა დაფარა მოზარდების წიგნების, სტაჟირებისა თუ მართვის მოწმობის კურსები. ბენეფიციართა ახალ გარემოსთან ადაპტაციაზე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სამომავლო დასაქმებაზე ფონდის ფსიქოლოგები ხელობის ოსტატებთან ერთად ზრუნავენ.

2011 წლიდან, ნატახტარის ფონდი დაახლოებით 600 მოზარდს დაეხმარა 892,592 ლარის ღირებულების სერვისებით. 320-ზე მეტი ბენეფიციარი (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები) დასაქმდა, ხოლო 280-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო პროფესიული განათლება.




# მიკრო ბიზნეს კაპიტალი (MBC)

## ფინანსური მრჩეველი

„მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ კორპორაციული პასუხისმგებლობის სტრატეგია დაფუძნებულია გარემოს დაცვაზე, ქალთა გაძლიერებაზე, ფინანსური განათლების მხარდაჭერაზე, შრომით უფლებებზე, გამჭვირვალობასა და ბიზნეს ეთიკაზე.

2017 წელს, „MBC“-მ შეიმუშავა სტრატეგია და განსაზღვრა რესურსები, რომელთა გამოყენებითაც დაეხმარა სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების მქონე ორგანიზაციებს. Action Against Hunger-ის მეწარმეობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი ციფრულ მარკეტინგში და ვორქშოფი სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. ღონისძიება ემსახურებოდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. „MBC“-ს სოციალური პროექტი „ფინანსური მრჩეველი“ შეხვდა მონაწილეებს ზუგდიდში, ფოთსა და წალენჯიხაში, რათა რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ფინანსურ პრობლემებზე ცნობიერება აემაღლებინა. ტრენინგებზე მოხდა საბანკო პროდუქტებისა და ალტერნატივების გაცნობა, ფინანსური გარიგებების და მათი თავისებურებების გაზიარება, ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვა და სხვა.

გარდა ფართომასშტაბიანი პროექტების გატარებისა, „MBC“ აქტიურად პარტნიორობს ადგილობრივ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან და აფინანსებს ასობით ბენეფიციარს მათი სოციალური ინტეგრაციისათვის.







# VIP SECRETARY

## ბიზნეს რჩევები სტარტაპებს

„ვიაიპი სეკრეტარი" სტარტაპებისა და დამწყები ბიზნესების მხარდაჭერით სიღარიბის შემცირებას ცდილობს.

კომპანიამ შეიმუშავა პროექტი, რომელიც უმუშევარ ადამიანებს ბიზნეს რჩევებს აძლევს და მათ ბიზნეს იდეების რეალობად ქცევაში ეხმარება. მინიმალურ ფასად, კომპანია ატარებს ონლაინ ფინანსურ კონსულტაციებს, არკვევს კლიენტებს საგადასახადო ვალდებულებებსა და სხვადასხვა ტიპის ბიზნეს მოდელებში.

ჯამში კომპანია 70 პატარა ბიზნესს დაეხმარა ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

# 4 ხარისხიანი განათლება




# კარფური

## შშმ ბავშვების განათლების ხელშეწყობა

კომპანია „კარფურის“ კორპორაციული პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მიმართულებას ბავშვებისთვის ხარისხიანი და მრავალმხრივი განათლების მიწოდება წარმოადგენს.

„კარფური“ უკვე წლებია საქართველოს მასშტაბით ბავშვებსა და სკოლებს ეხმარება. 2019 წელს კომპანიამ მემორანდუმი გააფორმა სკოლასთან, რომელშიც 143 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი სწავლობს. გარდა ამ სკოლის საჭირო ინვენტარით აღჭურვისა, პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ უსასყიდლოდ დაესწრონ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას და გაეცნონ ხელოვნების სხვადასხვა დარგს.

კომპანია ხელს უწყობს განათლების განვითარებას რეგიონების საჯარო სკოლებში, ამ სკოლებსა და მათ მოსწავლეებს საჭირო ლიტერატურით ამარაგებს და შედეგად ზრდის ბავშვების აკადემიურ მოტივაციას.



# კლიპარტი

## საერთო სამუშაო სივრცე „წიგნის კლუბი“

„კლიპარტი“ წლებია საქართველოს რეგიონებში ხარისხიანი განათლების შესაძლებლობების შექმნას ცდილობს.

კომპანიის თანადგომით, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში 2018 წლიდან მოქმედებს საერთო სამუშაო სივრცე „წიგნის კლუბი.“ მოცემული სივრცე მიზნად ისახავს ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის კომფორტული და თანამედროვე პლატფორმის უზრუნველყოფას, სადაც ისინი შეძლებენ ბიზნეს იდეებისა და სოციალური პროექტების განხორციელებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვას. 2020 წელს, „წიგნის კლუბმა“ ფონდ „ტასოსთან“ ერთად მოამზადა ტრენინგები 5 ადგილობრივი ქალისთვის და საბოლოოდ დააფინანსა მათ მიერ შექმნილი 3 ბიზნეს პროექტი.

დამატებით, კომპანია მუდმივად ატარებს სემინარებს, ტრენინგებსა და ლექციებს ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის. პროექტის ფარგლებში 15 000 ლარი მოხმარდა „წიგნის კლუბის“ ჩამოყალიბებას, საჭირო ინვენტარის შეძენასა და კლუბის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

.

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში



1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

# კრისტალი

## აკადემია, ბიბლიოთეკა და წიგნების კლუბი

„კრისტალის“ ხარისხიანი განათლების პროექტი მიზნად ისახავს, როგორც კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლებისათვის, ასევე ახალგაზრდებისათვის „კრისტალში“ პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნას.

სწავლების პროცესის ინსტიტუციონალიზაციისათვის და თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის მიზნით კომპანიაში შეიქმნა „კრისტალის აკადემია“, რომლის მისიაა კომპანიის სტრატეგიასთან თავსებადი ცოდნით აღჭურვილი კრისტალელების მომზადება და გადამზადება. პროექტის ფარგლებში, ცოდნის გაზიარებაზე და განვითარებაზე ორიეტირებული თანამშრომლები გაერთიანდნენ სხვადასხვა კლუბებში, რომლებიც იზიარებენ აკადემიის ღირებულებებს. სწავლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, სწავლების პროცესის გააქტიურებისა და მეტი ჩართულობის მიზნით კომპანიაში განხორციელდა დისტანციური სწავლების პლატფორმის დანერგვა (https://academy.crystal.ge/), შეიქმნა ელექტრონული წიგნებით აღჭურვილი „კრისტალის ბიბლიოთეკა“ და „მკითხველთა კლუბი“, სადაც კრისტალის თანამშრომლებს აზრებისა და იდეების გაცვლა შეუძლიათ.

დამატებით, კომპანიამ შექმნა ქალთა ჩართულობის გაძლიერების პროექტები და სტაჟირების შესაძლებლობები პროფესიული განათლების გასაზრდელად.

აღმოსავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტი




# აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

## სტუდენტთა მომზადება გამოცდებისთვის

„აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ხარისხიანი ცოდნის გაზიარება მოიაზრება.

2020 წელს პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პერიოდში „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა“ მთელი საქართველოს მასშტაბით მცხოვრებ 611 აბიტურიენტს, რომლებსაც ჰქონდათ ინტერნეტზე წვდომის პრობლემა და ვერ ახერხებდნენ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის სრულფასოვან რეჟიმში მომზადებას, დაუფინანსა უწყვეტი ინტერნეტის მიწოდება. ამასთანავე, როგორც აღნიშნულ 611 აბიტურიენტისთვის, ასევე დამატებით 427 აბიტურიენტისა და მაგისტრანტობის კანდიდატთათვის სრულიად უსასყიდლოდ, ორი თვის განმავლობაში, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის სამ საგანში, ხოლო საერთო სამაგისტრო გამოცდების ოთხივე კომპონენტში, უზრუნველყო მოსამზადებელი დისტანციური კურსები „Microsoft Teams“-ის ონლაინ პლატფორმის მეშვეობით.

აბიტურიენტებმა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული პროექტით, დისტანციურ რეჟიმში აქტიურად იმუშავეს ცოდნის გასაღრმავებლად და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად.

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მეტი პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

NEWS





# ედისონი

## ტექნოლოგიის სკოლა

„ედისონის“ ბლოკ სქემურ/მოდულურ რობოტიკაზე დაფუძნებული ტექნოლოგიური სკოლა არის პლატფორმა, რომელიც პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეისწავლონ რობოტიკა, ინჟინერია, პროგრამირება და ინოვაციური აზროვნება.

ტექნოლოგიური სკოლა ჯერ თავისუფალ უნივერსიტეტში, შემდგომ კი „საქართველოს უნივერსიტეტში“ არსებობდა. პროექტი სრულად აწყობილია „Asana“-ს პლატფორმაზე, სადაც ნებისმიერ დროს ნებისმიერ პარტნიორს შეუძლია კომენტარი, რეკომენდაცია/რჩევა დაწეროს ამა თუ იმ პროცესზე, რაზეც ონლაინ რეჟიმში გრძელდება კომუნიკაცია.

„ედისონის სკოლა“ საშუალებას აძლევს სტუდენტებს სრულყოფილად შექმნან იდეის პროტოტიპი, როგორც ამას გამოცდილი ინჟინრები აკეთებენ და შედეგად აიმაღლონ ცოდნა და გამოცდილება ამ სფეროში.

EFES
GEORGIA




# ეფეს საქართველო

## ფონდი ნატახტარი

2011 წლიდან კომპანიამ დააფუძნა „ფონდი ნატახტარი“, რომლის მიზანიც არის მზრუნველობამოკლებული მოზარდების განათლების ხელშეწყობა. ასევე „ეფესი“ აქტიურად ეხმარება დამწყებ ხელოვანებსა და თავის თანამშრომლებს პროფესიულ განვითარებაში.

„ფონდი ნატახტარი“ ზრუნავს მოზარდებისთვის საჭირო ინვენტარის და სახელმძღვანელოების შეძენაზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში, მართვის მოწმობის კურსების დაფინანსებაზე ან პროფესიულ სტაჟირებაზე. პანდემიის პირობებში ფონდმა უზრუნველყო დისტანციური სწავლებისათვის აუცილებელი რესურსები (ტექნიკური), ასევე ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე დააფინანსა სხვადასხვა ონლაინ ტრენინგი და ვებინარი, როგორც ფონდის ბენეფიციარების, ისე თავისი თანამშრომლებისთვის.

კომპანია ზრუნავს ახალგაზრდა ხელოვანების პროფესიულ განვითარებაზეც, მუსიკალური ფესტივალებისა და ღონისძიებების დასპონსორების გზით. ასევე იღებს და ავრცელებს ვიდეორგოლებს მათი მოღვაწეობის შესახებ, რითაც ხელს უწყობს მათ პოპულარიზაციას და წვლილი შეაქვს ხელოვანთა წინსვლაში.



# ჭეპრა

## ბიზნესლიტერატურის ბიბლიოთეკა

„ჭეპრას“ კორპორაციული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მიმართულებაა განათლების ხელშეწყობა. სწორედ ამიტომ კომპანიამ გადაწყვიტა შეექმნა ცოდნის ერთგვარი ბაზა საუკეთესო ბიზნეს ლიტერატურის სახით, რომელიც ქართველი მეწარმეებისთვის ქართულ ენაზე იქნებოდა ხელმისაწვდომი.

პროექტ „ბიზნეს ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ მიზანია ბიზნეს განათლების ხელშეწყობა საქართველოში, თანამედროვე ბიზნეს ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ქართულ ენაზე თარგმნის და გამოცემის გზით. ინიციატივა გრძელვადიანია: იგეგმება 2022 წლისთვის მინიმუმ 20 წიგნის გამოცემა. პროექტის განმავლობაში ჩატარდა დაახლოებით 20-მდე სემინარი, ტრენინგი თუ ვორქშოპი, სადაც „ჭეპრას“ დამფუძნებელი დეტალურად ხსნიდა გამოცემული წიგნის მნიშვნელობას და ასევე განიხილავდა იმ რისკებს, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სტარტაპერებმა.

პანდემიის პერიოდში ონლაინ ღონისძიებებზე მოთხოვნის ზრდიდან გამომდინარე, იქმნება ვებ-გვერდი, სადაც განთავსებული იქნება ინფორმაცია უშუალოდ ლექციებზე, ტრენინგებსა და ვორქშოპებზე. ასევე იგეგმება მასტერკლასების ტურნე რეგიონებში თანამედროვე ბიზნეს მეთოდოლოგიების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

# ნექსია თიეი

## MOVE ON GEORGIA

თანამშრომელთა კომპეტენციის მუდმივი განვითარება და საზოგადოების განათლების ხელშეწყობა „ნექსია თიეისათვის“ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

გამომდინარე იქიდან, რომ პანდემიამ მსოფლიო მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დააყენა, „ნექსია თიეიმ“ საზოგადოებისათვის პროექტი სახელწოდებით „Move On Georgia“ შექმნა, რომელიც ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს (რომლებმაც მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს პანდემიის პირობებში) უსასყიდლოდ აწვდის სხვადასხვა ტრენინგ პროგრამებს და „ნექსია თიეის“ ძირითად სერვისებს.

პროექტის ბენეფიციარებად განისაზღვრნენ ტურისტული და სატრანსპორტო სექტორები, ასევე ის ჰოსპიტალური ქსელები, რომლებიც ჩართულნი არიან Covid -19 ის მართვის ღონისძიებებში. მათ მიეწოდათ ორი სახის სერვისი: ვებინარები და საკონსულტაციო მომსახურება, რამაც ხელი შეუწყო მათ ფინანსურ განათლებას.

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მედია პასუხისგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში






# სილქნეტი

## საშინაო სკოლა

პროექტი „საშინაო სკოლა“ წარმოადგენს კომპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო პროდუქტს, რომლის მიზანია სასკოლო საგნების ვიდეო გაკვეთილების სახით ხელმისაწვდომობა „სილქნეტის“ არხებით: ინტერნეტი და ტელევიზია. კონტენტი მოიცავს სასკოლო პროგრამას 1-დან მე-12 კლასის ჩათვლით და უფასოდაა ხელმისაწვდომი, როგორც სატელევიზიო ეთერით - SilkTV, ისე ინტერნეტით.

პროექტის კონტენტი თანხვედრაშია ეროვნულ სასკოლო პროგრამასთან, აქვს მარტივი მენიუ და ცოდნის მიღების ინდივიდუალური მეთოდი. თითოეული ვიდეო გაკვეთილი 15-20 წუთს გრძელდება და მათ უძღვებიან საგანგებოდ შერჩეული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

პანდემიის დაწყებისთანავე, „სილქნეტმა“ მაქსიმალურად გაამარტივა საშინაო სკოლასთან წვდომა, მოიხსნა რეგისტრაციის აუცილებლობა, რამაც სულ რამდენიმე კვირაში გაასამმაგა აქტიურ მომხმარებელთა რაოდენობა და შესაბამისად, გაზარდა განათლებაზე ხელმისაწვდომობა.




# თიბისი ბანკი

## „საბას“ ბიბლიოთეკა

„თიბისიმ“ ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“ 2012 წელს დააარსა, წლების განმავლობაში მასზე 6,000 წიგნი განთავსდა და 200,000-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

„საბას“ უფასო ბიბლიოთეკა, „თიბისის“ და „საბას“ ინიციატივაა, რომელიც სარეკლამო სააგენტო „ლივინგსტონთან“ ერთად განხორციელდა და რომელსაც საქართველოში მოქმედი ყველა გამომცემლობა შეუერთდა. კოვიდ 19-ის კრიზისის დადგომის შემდეგ, 2020 წლის 18 მარტიდან აპლიკაციაში SABA READER განთავსებული 6,000 მეტი წიგნი უფასო გახდა ყველასთვის - როგორც უკვე არსებული ათი ათასობით მომხმარებლისთვის, ისე იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მხოლოდ მაშინ დარეგისტრირდნენ აპლიკაციაში.

1,5 თვის განმავლობაში აპლიკაციას 60,000-მდე ახალი მომხმარებელი შეუერთდა, ამ ხნის განმავლობაში 55,000 ადამიანი აქტიურად კითხულობდა. მთლიანობაში კი, როგორც ახალმა, ისე არსებულმა მკითხველებმა 140 000-ზე მეტი წიგნი წაიკითხეს.




# თიბისი ბანკი

## ბიზნესგანათლება

2013 წლიდან „თიბისიმ“ პროექტს ბიზნეს განათლება ჩაუყარა საფუძველი.

ბიზნეს განათლების ფარგლებში ნებისმიერი ბიზნესის წარმომადგენელს და ყველა იმ ადამიანს, რომელიც ამ სფეროთი არის დაინტერესებული შეუძლია მიიღოს მისთვის სასურველი და საჭირო კურსი სრულიად უსასყიდლოდ. პლატფორმაზე ნახავთ კურსებს მარკეტინგის, ფინანსების, გადასახადების თუ დიზაინის მიმართულებით. პანდემიამდე ბიზნეს განათლების პროექტისთვის ბანკს გამოყოფილი ჰქონდა სპეციალური სივრცე, ტრენინგ ცენტრი, ხოლო პანდემიის დაწყებისთანავე, 2 დღეში მთლიანი სისტემა დისტანციურ მომსახურებაზე გადავიდა.

2020 წლამდე პლატფორმით ისარგებლა 25 000-ზე მეტმა ბიზნესის წარმომადგენელმა. თითოეული ტრენინგის დასრულების შემდეგ დამსწრე იღებს სერტიფიკატს.



# ევროპული სკოლა

## FABLAB (Fabrication Laboratory)

„FabLab“ (Fabrication Laboratory) „ევროპული სკოლის“ მიერ შექმნილი პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს ტექნოლოგიური დისციპლინების მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაზრდასა და პრობლემის გადაჭრის კრეატიული და ინოვაციური მიდგომების უნარების განვითარებას.

„ფაბლაბი“ არის სივრცე, სადაც მოსწავლეს შეუძლია ნებისმიერი იდეა აქციოს რეალობად. ლაბორატორია შექმნილია, როგორც პროტოტიპირების შესაძლებლობების მქონე ინფრასტრუქტურა ადგილობრივი მეწარმეებისთვის. გარდა ამისა „ფაბლაბი“ ინტეგრირებულია სკოლის მიერ პროექტებზე დაფუძნებული სწავლების (PBL) და STEM-ის მიმართულებით პრაქტიკული პროდუქტების შექმნის ნაწილში. მოსწავლეები ლაბორატორიაში სწავლობენ ობიექტების დაპროექტებასა და მათ შექმნას პერსონალური ინტერესებისა და გემოვნების მიხედვით, ისინი ერთმანეთს ასწავლიან და უწევენ მენტორობას, რაც მათ აძლევთ ღრმა ცოდნას მაღალტექნოლოგიური აპარატურის გამოყენების მიმართულებით.

პროექტის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში „ფაბლაბში“ განხორციელდა არაერთი აქტივობა, რომელთა შორისაცაა საქველმოქმედო ღონისძიებები, საჯარო ლექციები, ტრენინგები და ჰაკათონები.

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

# 8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა



# ვიონი საქართველო

## იმუშავე საიდანაც გინდა

„VEON“-მა პანდემიის დროს სრულად შეუნარჩუნა ხელფასი დაკეტილი მაღაზიების თანამშრომლებს, 2020 წლის აპრილში თანამშრომლების უმეტესობას გაუზარდა ანაზღაურება და დანერგა „იმუშავე საიდანაც გინდა“ პოლიტიკა.

„იმუშავე საიდანაც გინდა“ გულისხმობს, რომ დასაქმებული თავად წყვეტს, სამსახურებრივი საქმიანობა განახორციელოს კომპანიის ოფისიდან, თუ ნებისმიერი სხვა ადგილიდან. „ბილაინი“ თანამშრომლებს დიდი ხანია სთავაზობს Be Free პოლიტიკას, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ დროდადრო აირჩიონ სახლიდან მუშაობა, მუშაობა ოფისის გარეთ, ან თუნდაც კაფედან.

კომპანიას აქვს მიზნების დასახვისა და შეფასების ყოველწლიური სისტემა, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს გაზომოს თითოეული თანამშრომლის ეფექტურობა და პროდუქტიულობა.



# კრისტალი

## ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა

კრისტალის ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა USAID-ის პროგრამის - „ახალგაზრდების და ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა საქართველოში (USAID YES-Georgia)'' - ფარგლებში ხორციელდება, ფონდი კრისტალის მიერ, USAID-ის და ქალთა გლობალური განვითარების და კეთილდღეობის (WGDP) ინიციატივის ფარგლებში, ხოლო პროექტს დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია ,,კრისტალი''.

პროექტის ფარგლებში 2020 წლის ოქტომბრის თვის მონაცემით, 1,375 ახალგაზრდა შეირჩა. მათგან 794-მა წარმატებით დაამთავრა სატრენინგო შეხვედრები, ხოლო 69-ის მიერ შექმნილმა ბიზნეს პროექტმა მიიღო „კრისტალისგან" სრული ფინანსური მხარდაჭერა.

მიუხედავად გლობალური პანდემიის მიერ გამოწვეული შეფერხებისა, 2020 წლის ოქტომბერში, კრისტალის „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლის" მე-8-ე ნაკადის მიღება უწყვეტად დაიწყო და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ტრენინგები და სასწავლო სემინარები Zoom-ის მეშვეობით მიმდინარეობს. ამჟამად 107 ახალგაზრდა ირიცხება YES-Georgia-ს ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლის მიმდინარე პროგრამაში (64 გოგო, 43 ბიჭი).

EFES
GEORGIA




# ეფეს საქართველო

## თანამშრომელთა განვითარების პროგრამა

კომპანია „ეფეს საქართველოს“ უმთავრეს პრიორიტეტს ღირსეული და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა და დასაქმებულთა მოტივაციასა და განვითარებაზე ზრუნვა წარმოადგენს.

კომპანია თითოეულ თანამშრომელს სთავაზობს განვითარების ინდივიდუალურ გეგმას (Individual Development Plan). „ეფესი“ უფინანსებს თანამშრომლებს როგორც კომპანიის შიგნით, ისე სხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა თუ კურსებს. აღნიშნულ საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომა სრულიად თანაბარია ყველა თანამშრომლისთვის, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე. მაგალითად, 2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე ჩატარდა 60-მდე ტრენინგი, მათ შორის ონლაინ ტრენინგები პანდემიის პერიოდში.

დამატებით, კომპანია აფინანსებს ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტებს, თანამშრომლების კვებასა და ტრანსპორტირებას და შესაბამისად, ქმნის სასიამოვნო და ღირსეულ სამუშაო პირობებს.



1 სიღარიბის აღმოფხვრა
4 ხარისხიანი განათლება
8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
12 მდგრადი მოხმარება და წარმოება
17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის
SDG პიონერი
მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის საქართველოში
NEWS

# GLCC

## უფასო იურიდიული მომსახურება ბიზნესებს

იურიდიული ფირმა „GLCC“, თავისი კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში, სხვადასხვა ბიზნეს სუბიექტს, საწარმოებს, ქალ მეწარმეებს და start-up-ებს უფასო იურიდიულ დახმარებას და კონსულტაციას უწევს, რითაც ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

„GLCC“-მ ითანამშრომლა „საქართველოს ბანკთან“ და კლიენტებს შესთავაზა უფასო ერთჯერადი იურიდიული მომსახურება სამოქალაქო და ბიზნეს სამართლის მიმართულებით. კომპანია ასევე პარტნიორობს სხვადასხვა ასოციაციასთან და ცნობიერების ასამაღლებელ სემინარებსა და ტრენინგებს მართავს. კოვიდ პანდემიის დაწყებიდან, „GLCC“-მ იურიდიული მომსახურება გაუწია ორ სტარტაპს და შეუმუშავა მათ პერსონალური ინფორმაციის დაცვის პოლიტიკა და ზოგადი წესები და პირობები მომხმარებლისათვის.

ღირსეული სამუშაო პირობების შექმნის გრძელვადიან სტრატეგიაში გათვალისწინებულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარება და მათი უნარების გადახალისება. კომპანია კვარტალურად ახორციელებს ტრენინგებს ემოციური ინტელექტის, დროის მენეჯმენტის, გუნდურობის მიღწევისა და მოტივაციის თემებზე.

ჯიპიაი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი



# ჯიპიაი ჰოლდინგი

## მოქმედების დღე

„მოქმედების დღე“ ეს არის პროექტი, რომლის ფარგლებშიც „ჯიპიაი“ მოხალისეობრივ აქტივობებში ჩასართავად თავის თანამშრომლებს ერთ სამუშაო დღეს აძლევს.

კომპანიის ყველა თანამშრომელი 12 გუნდში გადანაწილდა. გუნდები 12 თვედ დაიყო და ყველა გუნდს შესაბამისი თვის სახელწოდება და ფერი მიენიჭა. გუნდებს დაევალათ კორპორაციულ ღონისძიებაზე მათთვის საინტერესო სოციალური პროექტის წარდგენა, რომელსაც მათთვის განკუთვნილ დღეს განახორციელებდნენ. თანამშრომლებმა პროექტების განსახორციელებლად მენეჯმენტისგან ყველა საჭირო თანხა და რესურსი მიიღეს.

კომპანია დასაქმებულებს მუდმივად სთავაზობს სიახლეებს, საინტერესო პროექტებსა თუ აქტივობებს, რაც, მათი აზრით, თანამშრომლების მოტივაციას უმაღლებს და გუნდურობას აძლიერებს.

1 სიღარიბის აღმოფხვრა
4 ხარისხიანი განათლება
8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
9 მრეწველობა, ინოვაციები და ინფრასტრუქტურა
12 მდგრადი მოხმარება და წარმოება
17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის
SDG პოინტერი
მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში
NEWS



# HG

## პირბადეების წარმოება მოწყვლადი ჯგუფებისათვის

კომპანია „HG“-ს გუნდმა გაითვალისწინა ის ოპერაციული საფრთხეები, რაც პანდემიამ მოიტანა და, გამომდინარე იქიდან, რომ ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა ერთჯერად და მრავალჯერად პირბადეებზე, მან პირბადეების წარმოება დაიწყო.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ფასილიტაციით, კომპანიამ გადაწყვიტა ჩართულიყო პარტნიორულ ინიციატივაში და მაქსიმალურად დახმარებოდა საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებს პირბადეებით, რათა წვლილი შეეტანა COVID-19-ის გავრცელების პრევენციაში. ამ მიზნით, კომპანიამ ითანამშრომლა „კეთილდღეობის და განვითარების ცენტრთან“ (ქ. გორში) და არასამთავრობო ორგანიზაციასთან „უკეთესი მომავლისთვის“ (წეროვნის დასახლებაში). ამ ორგანიზაციების მეშვეობით კომპანიამ წეროვნის დასახლებაში დაასაქმა 30 იძულებით გადაადგილებული ქალი, რომლებიც მუშაობენ პირბადეების და სხვა საჭირო ნივთების კერვაზე. პროექტის განხორციელებიდან მიღებული გამოცდილება „HG“-ს დაეხმარება სამომავლოდ შეიმუშაოს ინოვაციური პროდუქტები, რომლებიც პირდაპირ უპასუხებენ არსებულ საჭიროებებს, საბაზრო მოთხოვნებს და ხელს შეუწყობენ ეკონომიკურ ზრდას.




# Hiro

## შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა

კომპანია „Hiro" ასოციაცია „ანიკასთან" ერთად, შშმ პირთა მხარდაჭერითი დასაქმების პროექტში, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ხელშეწყობით ჩაერთო.

პარტნიორული პროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ორივე მხარე გამოიყენებს თავის ხელთ არსებულ რესურსებს საერთო მიზნისთვის - ბენეფიციარი შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობისთვის. შემუშავდა პროექტი, რომლის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს ბენეფიციარებთან. მათთვის ჩატარდა ტრენინგები ეფექტური სამოტივაციო წერილის დაწერაზე, CV-ის შექმნაზე, სტრესის მართვასა და ემოციურ ინტელექტზე. შესწავლილ იქნა ბენეფიციართა რეზიუმეები და ისინი განთავსდა Hiro-ს პორტალზე. ასევე იგეგმება ვებინარები და ტრენინგები ბიზნეს კომპანიებისთვის სამუშაო ადგილას ინკლუზიური გარემოს შექმნის თაობაზე.

პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შშმ პირთა სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას.





# PMCG

## თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პროგრამა

„PMCG"-სთვის თანამშრომელთა უნარ-ჩვევების განვითარება და გაძლიერება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

2017 წლიდან, კომპანიამ აქტიური მუშაობა დაიწყო თანამშრომლების პროფესიული განვითარების პროგრამის შექმნაზე. მოწვეულ იქნა ადამიანური რესურსების მართვის კონსულტანტი, რომლის დახმარებითაც, შემუშავდა ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგია. ინიციატივის შედეგად, თანამშრომლებს ინდივიდუალურად შეუძლიათ თავიანთი განვითარებისათვის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რისთვისაც კომპანია თითოეულისთვის 1000 ლარს გამოყოფს. გარდა ამისა, კომპანია დამატებით აწყობს ტრენინგებს, რომელზეც ნებისმიერ დაინტერესებულ თანამშრომელს შეუძლია დასწრება.

„PMCG"-ის თანამშრომელთა ტრენინგისათვის 2018 წელს 40,000 ლარი დახარჯა, 2019 წელს - 42,000, ხოლო 2020 წელს კი უკვე 50,000 ლარი.

გარდა ფორმალური სწავლებისა, კომპანიაში შექმნილია არაფორმალური ცოდნის გადაცემის გარემო, რაც ხელს უწყობს სწავლებაზე ორიენტირებულ კულტურას და ზრდის ჩართულობას.

# 9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

TRAVEL GUIDE

Just Go!

Social Media Platform for Travel






# თრეველ გაიდი

## 4WASTE

„4Waste" წარმოადგენს ინოვაციურ პლატფორმას, რომლის მიზანია მომხმარებლებს შესთავაზოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის სწრაფი, სანდო და კვალიფიციური სერვისი.

„4Waste"-ის გამოყენებისას პირველ რიგში ხდება მომხმარებლის რეგისტრაცია. მომხმარებელი ვებ ან მობილური აპლიკაციის საშუალებით უთითებს მისამართს, საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტიპს, რამდენად არის ის დახარისხებული და რა დროს სურს მისი გატანა. ამის შემდეგ პლატფორმის საშუალებით ხდება ოპერატორთან ინფორმაციის გაგზავნა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ოპერაციის შესრულება, დამამტკიცებელი სურათის გადაღება და ატვირთვა სისტემაში.

გრძელვადიან პერიოდში კომპანია გეგმავს საყოფაცხოვრებო ნარჩენების სელექციას, გადახალისებას და მის მიწოდებას გადამამუშავებელი კომპანიებისთვის.



# ალდაგი

## ციფრული ტრანსფორმაცია

„ალდაგის“ სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტი ციფრული ტრანსფორმაციაა, რომელიც პროცესების სრულ ავტომატიზაციას და გაციფრულებას გულისხმობს.

COVID-19-ის პირობებში „ალდაგმა“ ციფრული ტრანსფორმაციის პროექტი დაასრულა, რითიც მისი ყველა სერვისი და პროდუქტი ციფრულად ხელმისაწვდომი გახადა.

პროექტი გულისხმობდა ბლოკჩეინ ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით კომპანიის სერვისებისა და პროდუქტების სრულ გაციფრულებას. გაციფრულების მიზნით შეიქმნა ვებ აპლიკაცია, რომელმაც საშუალება მისცა კომპანიას სრულად ციფრული მომსახურება შეეთავაზებინა კლიენტებისთვის. შედეგად გამარტივდა მომსახურება - ვებ აპლიკაცია, რომელიც მომხმარებლის იდენტიფიცირებას ახდენს, იყენებს ხელოვნურ ინტელექტს, და საშუალებას იძლევა კლიენტის სახელზე გაიცეს ელექტრონული პოლისი ფიზიკური შეხების და დოკუმენტ მიმოცვლის გარეშე.

მსგავსი პროექტი კომპანიას საშუალებას აძლევს მომავალშიც შეუწყოს ხელი ინოვაციებს.



# დიო

## საიზოლაციო ფარდა-ტიხარი

მსოფლიოში შექმნილი COVID-19 პანდემიის კრიზისიდან გამომდინარე, „დიომ" ქართულ ბაზარზე სრულიად ახალი პროდუქტი შექმნა - ავტომობილების სალონში სივრცის გამყოფი გამჭვირვალე ტიხარი. ტიხარი პოტენციურად საშიში ვირუსისგან თავის დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

საიზოლაციო ფარდა-ტიხარმა უფრო მეტად უსაფრთხო გახადა მგზავრთა გადაყვანა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით. ამასთან, პროდუქტის ფასი მაქსიმალურად მიახლოებულია თვითღირებულებასთან, რაც საშუალებას აძლევს უფრო მეტ ადამიანს იმგზავროს უსაფრთხოდ.

პროდუქტი ეტაპობრივად იხვეწება მომხმარებლების მოთხოვნებიდან გამომდინარე.




# ედისონი

## ხელოვნური სარქველები და სადეზინფექციო კაბინა

COVID 19-ის დროს, „ედისონმა“ შექმნა სასუნთქი აპარატებისათვის აუცილებელი ხელოვნური სარქველები, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე ამჟამად დეფიციტშია.

დამატებით, შეიქმნა სადეზინფექციო კაბინა, რომელიც შედგება მონიტორისგან და ზომავს სიცხეს. კაბინის გავლისას ადამიანს 360 გრადუსით ეფრქვევა სპეციალური ხსნარი, რომელიც არ აზიანებს ლორწოვან გარსს. ამასთან, ხდება ბარგის დეზინფექცია, რაც შენობაში გადაადგილებას უსაფრთხოს ხდის. მსგავსი დანადგარი დიდ აუცილებლობას წარმოადგენს ისეთ ხალხმრავალ ადგილებში, როგორებიცაა აეროპორტები და საავადმყოფოები.

„ედისონმა“ დანადგარის პირველი ვერსიები უსასყიდლოდ გადასცა გაგუას კლინიკასა და სამხარაულის ბიუროს.





# ევროპული სკოლა

## FABLAB (FABRICATION LABORATORY)

„FabLab“ (Fabrication Laboratory) „ევროპული სკოლის“ მიერ შექმნილი პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს ტექნოლოგიური დისციპლინების მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაზრდასა და პრობლემის გადაჭრის კრეატიული და ინოვაციური მიდგომების უნარების განვითარებას.

„ფაბლაბი“ არის სივრცე, სადაც მოსწავლეს შეუძლია ნებისმიერი იდეა აქციოს რეალობად. ლაბორატორია შექმნილია, როგორც პროტოტიპირების შესაძლებლობების მქონე ინფრასტრუქტურა ადგილობრივი მეწარმეებისთვის. გარდა ამისა „ფაბლაბი’ ინტეგრირებულია სკოლის მიერ პროექტებზე დაფუძნებული სწავლების (PBL) და STEM-ის მიმართულებით პრაქტიკული პროდუქტების შექმნის ნაწილში. მოსწავლეები ლაბორატორიაში სწავლობენ ობიექტების დაპროექტებასა და მათ შექმნას პერსონალური ინტერესებისა და გემოვნების მიხედვით. ისინი ერთმანეთს ასწავლიან და უწევენ მენტორობას, რაც აძლევთ ღრმა ცოდნას მაღალტექნოლოგიური აპარატურის გამოყენების მიმართულებით.

პროექტის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში „ევროპული სკოლის“ „ფაბლაბში“ განხორციელდა არაერთი აქტივობა, რომელთა შორისაცაა საქველმოქმედო ღონისძიებები, საჯარო ლექციები, ტრენინგები და ჰაკათონები.

ჯიპიაი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი




# ჯიპიაი ჰოლდინგი

## ეკოისტი

ეკოისტი, არის „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ლოიალობის პროგრამა, რომელიც მიმართულია ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ეკოქცევების პოპულარიზაციისკენ.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ეკომონეტას, რომლის გამომუშავებაც ჯანსაღი ცხოვრებითაა შესაძლებელი. ეს ჯანსაღი ცხოვრების პირველი ვალუტაა საქართველოში. მომხმარებელს, რომელიც გადმოწერს აპლიკაციას საშუალება აქვს დაზღვევაში გადახდილი თანხიდან და ეკო ქცევებით (ვარჯიში, ველოსიპედის შეძენა, ავტომობილის შემოწმება გამონაბოლქვზე, ა.შ.) დააგროვოს ეკო მონეტები და დახარჯოს ისევ დაზღვევაში.

„ჯიპიაი“ მუდმივად ორიენტირებულია სიახლეებზე და თავისი მომხმარებლებისათვის საინტერესო და განსხვავებული პროდუქტების შეთავაზებაზე.

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

NEWS




1 სიღარიბის აღმოფხვრა
4 ხარისხიანი განათლება
8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
9 მრეწველობა, ინოვაციები და ინფრასტრუქტურა
12 მდგრადი მოხმარება და წარმოება
17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის
SDG პიონერი
მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

# თიბისი ბანკი

## სტარტაპ დეკრეტი

„სტარტაპ დეკრეტი“ არის ინოვაციური პროექტი სპეციალურად „თიბისის“ თანამშრომლებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს მეწარმეობის წახალისებას ორგანიზაციის შიგნით.

ეს არის კონკურსი, სადაც თანამშრომლებს წელიწადში ერთხელ შეუძლიათ შეიტანონ განაცხადი და ჟიურის გადაწყვეტილების შემთხვევაში გამოიყენონ „დეკრეტი“ - ისარგებლონ 6 თვიანი ანაზღაურებადი შვებულებით პროექტის განსახორციელებლად. თანამშრომელს „დეკრეტის“ გამოყენების შემდეგ შეუძლია აირჩიოს დაბრუნდება სამუშაო ადგილზე თუ სრული დატვირთვით დარჩება საკუთარ ბიზნესში.

„სტარტაპ დეკრეტის“ ერთ-ერთი მიზანია საქართველოს მასშტაბით წაახალისოს ინოვაციური ბიზნესების წამოწყება.

# 12 მდგრადი მოხმარება და წარმოება





EFES GEORGIA

# ეფეს საქართველო

## ნარჩენების ეფექტური მენეჯმენტი

„ეფესში" პოლიტიკის დონეზეა გაწერილი ნარჩენების მართვა, წყლის, ენერგო, ბუნებრივი აირის თუ სხვა რესურსების ეფექტური მოხმარება/ დაზოგვა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა

„ეფეს საქართველოში" მავნე ზემოქმედების შემცირებისათვის დანერგილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა, ენერგოეფექტურობის სისტემების ოპტიმიზაცია, ავტომატიზაცია და სხვა ისეთი საშუალებები, როგორიც არის წყლის განმეორებით გამოყენება ტექნიკური მიზნებისათვის; პროდუქციის მწვანე დიზაინი და მინის ბოთლების ხელახალი გამოყენება, ლუდის წარმოებისას გამოყოფილი ნახშირორჟანგის შეგროვება, წმენდა და განმეორებით გამოყენება; ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება ტრენინგებისა და სწავლებების გზით.

კომპანია მუდმივად ეძებს გზებს გარემოზე მავნე ზეგავლენის შესამცირებლად. ამ მიზნით ახორციელებს უწყვეტ მონიტორინგს გამოფრქვევების წერტილებზე.



# ჩიკატაი

## სათამაშოები გადამუშავებული ნარჩენებისგან

ჩიკატაი ამზადებს ხელნაკეთ პროდუქციას ეკოლოგიურად სუფთა მასალებისგან.

წელს კომპანიამ გადაწყვიტა ახალი პროდუქციის ხაზის გამოშვება, რომელიც მთლიანად გადამუშავებული ნარჩენებისგან იქნება წარმოებული. ჩიკატაი თანამშრომლობს კომპანიებთან, რომლებიც მოიხმარენ დიდი რაოდენობით სერტიფიცირებულ ქსოვილებს, იბარებს მათ ნარჩენებს და შემდგომ სათამაშოების შესაქმნელად იყენებს.

ამჟამად, კომპანია მუშაობს კამპანიაზე, რომლის მიზანია მოსახლეობაში ნარჩენების ხელახალი გამოყენებისა და მინიმუმამდე დაყვანის მიმართულებით ცნობიერების ამაღლება.

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში




# კრისტალი

## მწვანე დაფინანსება

„მწვანე დაფინანსების“ მიმართულება ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია „კრისტალში“ 2017 წლიდან ხორციელდება. მას საფუძველი ჩაეყარა მას შემდეგ, რაც ჰოლანდიური განვითარების ბანკ FMO-სგან კომპანიამ მიიღო ინვესტიცია „მწვანე“ სასესხო პროდუქტების დანერგვა-დაფინანსებაზე.

პროექტი გულისხმობს მომხმარებლებისათვის „მწვანე“ ალტერნატივების შეთავაზებასა და ეკომეგობრული, გარემოსთვის ნაკლებ საზიანო პროდუქტების დაფინანსების ხელშეწყობას. „მწვანე დაფინანსების“ ფარგლებში ფინანსდება ისეთი მწვანე ალტერნატივები, როგორებიცაა ენერგოეფექტური საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ეკო-მეგობრული სამშენებლო მასალები, ჰიბრიდული და ელექტრო ავტომანქანები, სარწყავი სისტემები და ა.შ.

მწვანე დაფინანსების პორთფელი წლიურად იზრდება და 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 7.6 მლნ ლარს.



# ეკო-ჯენერეიშენი

## ეკომეგობრული პროდუქტი პლასტმასის სანაცვლოდ

ეკო-ჯენერეიშენი მხარს უჭერს პრევენციულ/ალტერნატიულ მიდგომებს გარემოს დაცვითი გამოწვევებისადმი.

კომპანიის მიზანია საზოგადოებაში გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარება ისეთი აქტივობებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას პლასტმასის გამოყენების მავნე ზეგავლენისა და სანაცვლოდ, ეკოლოგიურად სუფთა, ხის პროდუქტების გამოყენების შესახებ.

რამდენიმე კომპანიასთან ერთად შემუშავდა პროექტი, რომელიც აერთიანებს ათობით რესტორანს, სწრაფი კვების ობიექტსა და მიტანის სერვისს. პროექტის ფარგლებში მომხმარებელს საშუალება აქვს უარი თქვას პლასტმასის ერთჯერად ჭურჭელზე და ისარგებლოს კომპანიის ეკომეგობრული პროდუქტით.

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

NEWS



# ფაბერი

## ტანსაცმლის ონლაინ მაღაზია

„ფაბერი“ არის ქართული მობილური აპლიკაცია, მარკეტფეისისა და სოციალური მედიის მიქსი, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს შეუძლია გაყიდოს და იყიდოს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქსესუარები.

„ფაბერი“ მომხმარებელს სთავაზობს მარტივ და მოქნილ ინტერფეისს, ინტეგრირებულ და უსაფრთხო განვადებისა და გადახდების სისტემას, აქციებსა და უფასო მიტანის სერვისს თბილისსა და რეგიონებში.

კომპანიის მიზანია არსებული მარაგების ცირკულაციამ ჩაანაცვლოს ახალი ტანსაცმლის წარმოების აუცილებლობა და ამის შედეგად გამოწვეული დაბინძურება.

1 სიღარიბის აღმოფხვრა
4 ხარისხიანი განათლება
8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
12 მდგრადი მოხმარება და წარმოება
17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის
SDG პიონერი
მედია პასუხისგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

# 17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

ხარისხიანი განათლება

პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

სიღარიბის აღმოფხვრა

მდგრადი მოხმარება და წარმოება

ხარისხიანი განათლება

SDG პიონერი

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

მრეწველობა, ინოვაციები და ინფრასტრუქტურა




ჩიკატაის სათამაშო ქურციკი

1 სიღარიბის აღმოფხვრა
4 ხარისხიანი განათლება
8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
12 მდგრადი მოხმარება და წარმოება
17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის
SDG პიონერი
მედია პასუხისგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

# ჩიკატაი

## სათამაშოები ცხოველთა კონსერვაციისათვის

ჩიკატაის ერთ-ერთი მიზანია ცხოველთა დაცვისა და კონსერვაციის პროცესებში აქტიური ჩართვა.

WWF Georgia-სთან თანამშრომლობით შეიქმნა საქველმოქმედო სათამაშოები - პატარა ჩხრიალა ზუთხი და ქურციკი, რომელთა კონსერვაციაზეც WWF Georgia მუშაობს. სათამაშო ქურციკების გაყიდვიდან მიღებული სრული მოგება გროვდება ვაშლოვანის ნაკრძალში შემოყვანილი ქურციკებისთვის მონიტორინგის საყელურების შესაძენად.

ჩიკატაი იმედოვნებს, რომ პროექტის შედეგად საზოგადოებაში ამაღლდება ცნობიერება ბიომრავალფეროვნების ჯაჭვის აღდგენის მნიშვნელობაზე.

EFES
GEORGIA




# ეფეს საქართველო

## ფონდი ნატახტარი

2011 წელს კომპანიამ დააფუძნა „ფონდი ნატახტარი,“ რომლის მიზანია მზრუნველობამოკლებული მოზარდების დახმარება და მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

დაარსებიდან დღემდე, ფონდი თავის ბენეფიციარებს დაეხმარა ისეთი სერვისებით, როგორებიცაა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, პროფესიული თუ უმაღლესი განათლების მიღების მხარდაჭერა, კომუნალური ხარჯების სრულად დაფარვა ან თანაგადახდა, შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფა. დამატებით, ფონდმა დაფარა მოზარდების წიგნების, სტაჟირებებისა თუ მართვის მოწმობის კურსები. ბენეფიციართა ახალ გარემოსთან ადაპტაციაზე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სამომავლო დასაქმებაზე ფონდის ფსიქოლოგები ხელობის ოსტატებთან ერთად ზრუნავენ.

2011 წლიდან დღემდე ნატახტარის ფონდი დაახლოებით 600 მოზარდს დაეხმარა 892,592 ლარის ღირებულების სერვისებით. 320-ზე მეტი ბენეფიციარი (მათ შორის უნარშეზღუდული ახალგაზრდები) დასაქმდა, ხოლო 280-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო პროფესიული განათლება.

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის საქართველოში



# ერთიანობა

## მოწყვლადი ჯგუფების დახმარება COVID-19-ის საპასუხოდ

ფონდი „ერთიანობა“ დაფუძნდა აჭარა ჯგუფის, საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და ბიზნეს აქსელერატორი სპარკის ინიციატივით პანდემიის დროს საქართველოში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად.

პროექტისთვის შეიქმნა პლატფორმა www.1anoba.ge, სადაც შესაძლებელია რეგისტრაცია, როგორც დახმარების მიღების, ისე მოხალისეობრივი ჩართულობისა და თანხების მოძიება/შეგროვების მიზნით. ბიზნესის ჩართულობითა და დონაციებით შესაძლებელი გახდა მარტოხელა მოხუცებისა და დედების, შშმ პირებისა და მათი ოჯახების დახმარება საჭირო სასურსათო მარაგით, მედიკამენტებითა და სხვა ძირითადი საშულებებით, ადგილზე მიწოდების სერვისით.

პროექტის ფარგლებში შექმნილია COVID რუკა და დღეის მდგომარეობით 7000 რეგისტრირებული ოჯახიდან უკლებლივ ყველამ მიიღო დახმარება.

1 სიღარიბის აღმოფხვრა
4 ხარისხიანი განათლება
8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
12 მდგრადი მოხმარება და წარმოება
17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის
SDG პიონერი
მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში
NEWS




# ფინა

## პროგრამული უზრუნველყოფა ბანკებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს

ფინა 2006 წელს დაარსდა და მისი მიზანია პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და კონსულტაციის გაწევა ცენტრალური ბანკებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისათვის.

კომპანიამ დანერგა ახალი ინფორმაციული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა საბანკო ზედამხედველობისათვის, რომელიც ასევე მოიაზრებს ფიზიკური სერვერების შეძენას, პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა-გამართვა-დაყენებას და თანამშრომლებისათვის ტრენინგების გავლას ტაჯიკეთის ეროვნულ ბანკში.

პროექტის შედეგად შემცირდა ადამიანების „მანუალური" სამუშაო, განახლდა ინფრასტრუქტურა და მოხდა ინფორმაციული ნაკადების სრული ავტომატიზირება.



# HG

## პირბადეების წარმოება მოწყვლადი ჯგუფებისათვის

კომპანია HG-ს გუნდმა გაითვალისწინა ის ოპერაციული საფრთხეები, რაც პანდემიამ მოიტანა და გამომდინარე იქიდან, რომ ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა ერთჯერად და მრავალჯერად პირბადეებზე, მან პირბადეების წარმოება დაიწყო.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ფასილიტაციით, კომპანიამ გადაწყვიტა ჩართულიყო პარტნიორულ ინიციატივაში და მაქსიმალურად დახმარებოდა საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებს პირბადეებით, რათა წვლილი შეეტანა COVID-19-ის გავრცელების პრევენციაში. ამ მიზნით, კომპანიამ ითანამშრომლა „კეთილდღეობის და განვითარების ცენტრთან" (ქ. გორში) და არასამთავრობო ორგანიზაციასთან „უკეთესი მომავლისთვის" (წეროვნის დასახლებაში). ორგანიზაციების მეშვეობით კომპანიამ წეროვნის დასახლებაში მოიძია დასაქმების მსურველები, დაასაქმა 30 ადამიანი, რომლებიც ამჟამად მუშაობენ პირბადეების და სხვა საჭირო ნივთების კერვაზე. ორგანიზაციებთან პარტნიორობით, HG-მ 500-მდე სოციალურად დაუცველ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან სხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელს გადასცა მრავალჯერადი მოხმარების პირბადეები.




# Hiro

## შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა

კომპანია Hiro ასოციაცია „ანიკასთან“ ერთად, შშმ პირთა მხარდაჭერითი დასაქმების პროექტში გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ხელშეწყობით ჩაერთო.

პარტნიორული პროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ორივე მხარე გამოიყენებს თავის ხელთ არსებულ რესურსებს საერთო მიზნისთვის - ბენეფიციარი შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობისთვის. შემუშავდა პროექტი, რომლის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს ბენეფიციარებთან. მათთვის ჩატარდა ტრენინგები ეფექტური სამოტივაციო წერილის დაწერაზე, CV-ის შექმნაზე, სტრესის მართვასა და ემოციურ ინტელექტზე. შესწავლილ იქნა ბენეფიციართა რეზიუმეები და ისინი განთავსდა Hiro-ს პორტალზე. ასევე იგეგმება ვებინარები და ტრენინგები ბიზნეს კომპანიებისთვის სამუშაო ადგილას ინკლუზიური გარემოს შექმნის თაობაზე.

პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შშმ პირთა სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას.




# ემბისი

## ფინანსური მრჩეველი

ემბისი-ს სოციალური პროექტის „ფინანსური მრჩევლისა“ და ფონდ „ტასოს“ თანამშრომლობა ინიცირდა საზოგადოების დაბალი ფინანსური ცნობიერების გამო, რაც განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს ხელს უშლის საქმიანობის დაწყებასა და რეაბილიტაციაში.

„ფინანსურმა მრჩეველმა“ მხარდაჭერა გამოუცხადა ფონდი „ტასოს“ პროექტს - „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ და განახორციელა ტრენინგებისა და გადამზადების პროგრამა წალენჯიხის რაიონის სოფლებში, ჯგალისა და მუჟავაში მცხოვრები ქალებისთვის. შეხვედრების მიზანი იყო, მოახლოებული საგრანტო კონკურსისათვის მზადება, შესაბამისი ბიზნეს გეგმების მომზადება, ფინანსური განათლების საფუძვლების გაცნობა და ქალების გადამზადება გრანტების მართვისთვის.

ამჟამად, უფასო ფინანსური კონსულტაცია მიიღო 100-მდე დაინტერესებულმა პირმა და დატრენინგდა 150-მდე ადამიანი.




# ნექსია თიეი

## MOVE ON GEORGIA

„ნექსია თიეისთვის“ მდგრადი განვითარების ხელშეწყობა განსაკუთრებით პრიორიტეტული გახდა დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით.

გამომდინარე იქიდან, რომ პანდემიამ მსოფლიო მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დააყენა, „ნექსია თიეიმ“ საზოგადოებისთვის შექმნა პროექტი სახელწოდებით „Move On Georgia,“ რომელიც ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს (რომლებმაც მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს პანდემიის პირობებში) უსასყიდლოდ აწვდის სხვადასხვა ტრენინგ პროგრამებს და „ნექსია თიეის“ ძირითად სერვისებს.

პროექტის ბენეფიციარებად განისაზღვრა ტურისტული და სატრანსპორტო სექტორები, ასევე ის ჰოსპიტალური ქსელები, რომლებიც ჩართული არიან Covid -19 ის მართვის ღონისძიებებში. მათ მიეწოდათ ორი სახის სერვისი: ვებინარები და საკონსულტაციო მომსახურება, რამაც ხელი შეუწყო მათ ფინანსურ განათლებას.

# თიბისი ბანკი

## სტარტაპერი

თიბისის პროგრამა „სტარტაპერის“ ფარგლებში გამართული აპლიკაციების კონკურსი არის ყოველწლიური პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში ინოვაციური ბიზნესების წამოწყების წახალისებას.

განაცხადების მიღების შემდეგ, კომპეტენტური ჟიურის მიერ გამოვლინდება 3 გამარჯვებული სტარტაპ გუნდი. კონკურსის საპრიზო ფონდი 60,000 ლარს შეადგენს, I ადგილის მფლობელს გადაეცემა 30,000 ლარი, ხოლო II და III ადგილის მფლობელებს 15,000 ლარი. 2020 წელს პროექტის პარტნიორი იყო FMO (ნიდერლანდების განვითარების ბანკი) და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

პროექტის მიზანია ინოვაციის ხელშეწყობა და შედეგად, ეკონომიკური განვითარება.

აწარმოე საქართველოში

# თიბისი ბანკი

## მეწარმეების მხარდაჭერა

„აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული მიმართულების მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა.

სახელმწიფოსთან ერთად, არსებული პროექტები ემსახურება ეკონომიკის მდგრად განვითარებას. ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი მეწარმეს შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავითაროს სასტუმრო ბიზნესი, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და მოიზიდოს მეტი დამსვენებელი.

თიბისი ბანკის მონაწილეობით, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, დაფინანსდა 163 ბენეფიციარი (საწარმო/სასტუმრო) და შედეგად დამატებით შეიქმნა დაახლობით 5 600 ახალი სამუშაო ადგილი.

1 სიღარიბის აღმოფხვრა
4 ხარისხიანი განათლება
8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
12 მდგრადი მოხმარება და წარმოება
17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის
SDG პიონერი
მედია პასუხისგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში






# თიბისი ბანკი

## ონლაინ მაღაზია 3 დღეში

პანდემიის დაწყებიდან ორ თვეში თიბისის გუნდმა შექმნა პროექტი „ონლაინ მაღაზია 3 დღეში", რომელმაც კრიზისში მყოფ ბიზნესებს გაუხსნა სწრაფად ადაპტირებადი გაყიდვების არხი.

პროექტის შედეგად, ბანკმა ბიზნესებისთვის დააფუძნა საიტის შექმნის პლატფორმა, სადაც მომხმარებელს შეუძლია დეველოპერული უნარ-ჩვევების გარეშე, მარტივად, რამდენიმე წუთში შექმნას საიტი. თიბისიმ ბიზნესებს ასევე შესთავაზა გადახდების სისტემის ინტეგრირება, კიკალა სტუდიოს ფოტოგრაფიული მომსახურება და ა.შ.

კომპანიამ ითანამშრომლა Visa-სთან, რომელმაც სურვილი გამოთქვა დაეფინანსებინა 100 ონლაინ მაღაზიის შექმნისა და ოპერირების ხარჯების საფასური 2020 წლის ბოლომდე. პროექტის ამოქმედებიდან სულ რაღაც ორ კვირაში, როდესაც ონლაინ მაღაზიების მოთხოვნების რაოდენობა 100-ს გადაცდა, Visa-მ ეს ციფრი გააორმაგა.




# თბილისი მოლი

## მოუსმინე ზღაპრულ სამყაროს

პროექტ „მოუსმინე ზღაპრულ სამყაროს“ ფარგლებში, თბილისი მოლმა გამოსცა აუდიო წიგნების კრებული, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, უსინათლო და მცირემხედველი ბავშვებისთვის.

გამომცემლობა პალიტრა L-ისა და  არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით  შეირჩა 10 საშობაო ზღაპარი, რომლებიც ცნობილმა მსახიობებმა გაახმოვანეს. აუდიოწიგნების პრეზენტაციის ფარგლებში, 26 იანვარს, თბილისი მოლში მოწყობილ სცენაზე, უსინათლო და მცირემხედველმა ბავშვებმა წარმოადგინეს სპექტაკლი, რომელიც საშობაო ზღაპრების მოტივებზე იყო შექმნილი.

პროექტი ხელს უწყობს შშმ ბავშვების სოციალურ ინტეგრაციას.

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

# SDG პიონერი

ხარისხიანი განათლება

პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

სიღარიბის აღმოფხვრა

მდგრადი მოხმარება და წარმოება

ხარისხიანი განათლება

SDG პიონერი

მედია პასუხისგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

ღირსეული სამუშაო

ემბისი



# თამთა ასლანიშვილი

თამთა ასლანიშვილი MBC-ს PR და CR მენეჯერია.

მუშაობის დაწყებისთანავე, თამთამ აქტიურად დაიწყო დასაქმებულთა ჩართვა საკომუნიკაციო აქტივობებში, განავითარა მდგრადი განვითარების გეგმა და განაახლა კომპანიის ხედვა და მიზნები კორპორაციული მდგრადობის საკითხებში. მისი ინიციატივით, „ემბისი“ გახდა გაეროს გლობალური შეთანხმების და საქართველოს პრო ბონო ქსელის წევრი, ქალთა გაძლიერების პრინციპების ხელმომწერი და „მოქმედება სიღარიბის წინააღმდეგ“ მხარდამჭერი.

თამთამ წამოიწყო პროექტი „ფინანსური მრჩეველი“, რომლის მიზანი საზოგადოებაში მყარი ფინანსური ცოდნის ჩამოყალიბებაა. მან ასევე დააფუძნა ონლაინ პლატფორმა, სადაც თანამშრომლებს შეუძლიათ ანონიმურად შეატყობინონ კომპანიას შრომითი ან ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ ან შესთავაზონ მას მენეჯმენტში შესატანი ცვლილებები.

ასლანიშვილი ხელმძღვანელობდა და მხარს უჭერდა პროექტებს: #წინდამინდა, „კლოუნ-თერაპია“, ინიციატივა „გარემოსათვის“ და საგანმანათლებლო სემინარებს ფინანსურ თემატიკაზე ოკუპაციის ხაზთან, სოფელ ბერშუეთში.

თამთა ენთუზიაზმით ეკიდება თავის სამსახურს და მუდმივად ეხმარება თანამშრომლებს მდგრადი განვითარების მიზნების გაცნობაში.



ედისონი



# გივი ბერიძე

გივი ბერიძე „ედისონის“ მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელია. კომპანიის მიზანია, შექმნას როგორც უმაღლესი ხარისხის ცოდნა ტექნოლოგიური მიმართულებით, ისე ინოვაციური, მაღალტექნოლოგიური პროდუქტები.

ბერიძის ინიციატივით, ედისონმა შექმნა ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმა - BuildIoT, რომლის მიზანია ტექ-ინფორმატიულობის ზრდა. პლატფორმის სამიზნე ჯგუფს ამჟამად თანაბარი რაოდენობით წარმოადგენენ ქალები და კაცები, რაც კომპანიის აზრით, ხელს შეუწყობს ქალების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობას. პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი SDG 4: ხარისხიანი განათლების მიღწევაა.

გივი ბერიძის მიზანია ყველა ადამიანს თანაბარი შესაძლებლობა მისცეს ტექნოლოგიური განათლების მისაღებად და ინოვაციის შესაქმნელად. მისი აზრით, ბიზნეს პარტნიორობა არის მდგრადი განვითარებისა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ხერხი.

CATCHUP GEORGIA



# ელენე ევსია

ელენე ევსია CatchUp Georgia-ს დამფუძნებელია. მისი ლიდერობით, კომპანიამ შექმნა ონლაინ პლატფორმა, რომელიც მთლიანად მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასა და პოპულარიზაციას ეთმობა.

ყოველთვე, CatchUp Georgia ირჩევს მდგრადი განვითარების ერთ მიზანს, რომლის პოპულარიზაციასაც საგანმანათლებლო პროექტებით, სოციალური აქტივობებით და ინფორმაციის გადაცემით ცდილობს. ევსიას ინიციატივით, კომპანიამ შექმნა CatchUp BOX, რომელშიც განთავსებულია არა მხოლოდ ინფორმაცია მდგრადი განვითარების შესახებ, არამედ პროდუქტები, რომლებიც შექენილია ინდივიდებისგან, რომლებიც CatchUp-ის მდგრადობაზე დაფუძნებულ პრინციპებსა და ღირებულებებს იზიარებენ.

ელენე ევსია მუშაობს იდეით, რომ მდგრადი ცხოვრების სტილი ერთადერთი გზაა უკეთესი მომავლისაკენ.

1 სიღარიბის აღმოფხვრა
4 ხარისხიანი განათლება
8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
12 მდგრადი მოხმარება და წარმოება
17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის
SDG პიონერი
მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის საქართველოში
NEWS



ჯეპრა



# თამარ ვარამაშვილი

თამარ ვარამაშვილი ჯეპრას კორპორაციული პასუხისმგებლობის მენეჯერია.

მისი კონტრიბუციით, ჯეპრამ შექმნა საჩივრის მექანიზმი სამუშაო სივრცეში შრომითი და ადამიანის უფლებების დარღვევების აღმოსაფხვრელად. ის აქტიურად აცნობს დასაქმებულებს მათ უფლებებს და მხარს უჭერს კომპანიის ანტიკორუფციულ გეგმას.

ჯეპრამ, სიდასთან ერთად, დაარსა CSR კლუბი, რომლის აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში ვარამაშვილი აქტიურად მონაწილეობს. მან შექმნა CSR გეგმა კომპანიისთვის და ასევე დანერგა კომპანიაში ეკო-მეგობრული პროდუქტების მოხმარება. ვარამაშვილი მონიტორინგს უწევს კომპანიის CSR აქტივობებს და ამჯამად შშმ პირების სამუშაო სივრცეში გაძლიერებაზე მუშაობს.

ვარამაშვილისთვის SDG მიზნების მიღწევა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

აჭარა ჯგუფი



# ვალერი ჩეხერია

ვალერი ჩეხერია „აჭარა ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორია.

ჩეხერიას ინიციატივით, კომპანიამ შეიმუშავა დასაქმების თანაბარი შესაძლებლობის სტრატეგია, შექმნა დასაქმების შესაძლებლობები შშმ და ლგბტ პირებისათვის და წაახალისა ქალთა ჩართულობა მმართველ პოზიციებზე. ამჟამად ქალები კომპანიის მმართველი საბჭოს 58%-ს შეადგენენ.

ვალერი ჩეხერიას ლიდერობით ასევე დაინერგა „ფერმიდან მაგიდამდე“ პრინციპი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა ადგილობრივ ფერმერთა მიერ წარმოებულ პროდუქტებზე და წახალისდა აგროკულტურაში დასაქმება.

ჩეხერიამ დანერგა ეკო-მეგობრული სტრატეგიები, რის შედეგადაც კომპანიამ დაიწყო ქაღალდის გადამუშავება, პლასტმასის მოხმარების შემცირება, ელექტრო-მანქანებით სარგებლობა და მათ საკუთრებაში არსებულ სასტუმროებში ინვენტარის მდგრადი ალტერნატივებით ჩანაცვლება.

ვალერი ჩეხერია აცნობიერებს, რომ ბიზნეს სექტორს მნიშვნელოვანი როლი აქვს SDG მიზნების მიღწევაში და, შესაბამისად, იგი მუდმივად ცდილობს კომპანიის კორპორაციული სტრატეგია კიდევ უფრო მდგრადი გახადოს.

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში



Hilton

ჰილტონ ბათუმი

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის საქართველოში

NEWS

# გენო ძიძიგური

გენო ძიძიგური „ჰილტონ ბათუმის" ადამიანური რესურსების მენეჯერია.

2018 წელს, ჰილტონმა წამოიწყო ორმაგი განათლების პროგრამა, რომელიც შემუშავდა ძიძიგურისა და პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლების თანამშრომლობით. მისი ხელმძღვანელობით, ჰილტონმა გახსნა „ჰილტონის ოპერაციების ჰაბი" შავი ზღვის სასწავლო კოლეჯში, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს განავითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და გაზარდონ დასაქმების შესაძლებლობები.

ძიძიგურის ძალისხმევით, ადამიანური რესურსების დეპარტამენტი ხელს უწყობს ქალთა პროფესიულ განვითარებას და ქმნის დასაქმების შესაძლებლობებს შშმ პირებისათვის. მისი ლიდერობით საფუძველი ჩაეყარა საპნისა და ნარჩენების გადამუშავების ინიციატივებს და ორგანიზებულ იქნა საგანმანათლებლო სემინარები დასაქმებულთათვის „მწვანე" ჩვევების მნიშვნელობაზე.

გენო ძიძიგური აქტიურად ცდილობს CSR აქტივობების დანერგვას ჰილტონ ბათუმში და მოუწოდებს სხვა ბიზნესებს ასევე შეიმუშავონ მდგრადი კორპორაციული სტრატეგიები.

# მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში




ხარისხიანი განათლება
პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის
სიღარიბის აღმოფხვრა
მდგრადი მოხმარება და წარმოება
SDG პიონერი
მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

მოზაიკა
გორის სათემო რადიო

რადიო მოზაიკა

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

# გიორგი დვალიშვილი

## როგორ დაეხმარა „კულას" კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გააზრება გაყიდვების ზრდაში

რადიო „მოზაიკისთვის" დაწერილ სტატიაში, გიორგი დვალიშვილი გვაცნობს გორში მცხოვრებ ნინი ვარძელაშვილს, რომელმაც სამსახური კომპანია „კულას" ახალგაზრდული დასაქმების პროგრამის ფარგლებში იპოვა.

ჟურნალისტი გვეუბნება, რომ მოცემული პროგრამა კორპორაციული პასუხისმგებლობის კარგი მაგალითია. „კულას" დირექტორისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერისგან აღებული ინტერვიუების საშუალებით დვალიშვილი კომპანიის მიერ დანერგილ სხვა მსგავს ღონისძიებებსა და მათ სოციალურ სარგებელზე გვიყვება.

სტატიის მიზანია დაგვანახოს, რომ ურთიერთზრუნვითა და ურთიერთთანამშრომლობით ბიზნესებს, როგორც საკუთარი, ისე საზოგადოების გაძლიერება შეუძლიათ.

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის საქართველოში

NEWS




ჯორჯიან მედია ბლოგი

# ნინო ვართაპეტიანი

## ბიზნესის პასუხისმგებლობა კოვიდ 19-ის საპასუხოდ

ჯორჯიან მედია ბლოგისთვის შექმნილ სტატიაში, ნინო ვართაპეტიანი გვაცნობს Covid-19-ის პირობებში, ქალაქ ბორჯომში განხორციელებული კორპორაციული პასუხისმგებლობის მაგალითებს.

სტატიას თან ახლავს ფოტომასალა, რომელიც სხვადასხვა კომპანიის მიერ გატარებულ საქველმოქმედო თუ სარეაბილიტაციო აქტივობებს ასახავს და აქვეა მოკლე ინტერვიუები მათ ბენეფიციარებთან.

სტატიის ბოლოს, ჟურნალისტი ზოგადად კორპორაციულ პასუხისმგებლობასა და მის სოციალურ სარგებელზე მოგვითხრობს და ბიზნესებისთვის CSR სტრატეგიის არსებობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

ტელეკომპანია „ბორჯომი“

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

# ნინო ვართაპეტიანი

## საშიში ელექტროგადამცემი ხაზები თუ გაუმჯობესებული ენერგომომარაგება

ტელეკომპანია „ბორჯომის“ ვებგვერდისთვის შექმნილ სტატიაში ნინო ვართაპეტიანი სოფელ სადგერის მაცხოვრებლებისა და კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ გვიყვება.

სტატიის მიხედვით, სოფლის მოსახლეობა ღელავს, რომ კომპანიის მიერ დამონტაჟებული ენერგოგადაცემის ხაზები საფრთხეს უქმნის როგორც მათ ჯანმრთელობას, ისე სოფლის ბუნებასა და მათ მოსავალს.

ჟურნალისტი ასევე გვაცნობს ინტერვიუს CSR-ის სპეციალისტ თამუნა კვარაცხელიასთან, რომელიც მკითხველს კორპორაციული მდგრადობის შესახებ მოკლედ უყვება. იგი ყურადღებას ამახვილებს კომპანიების პასუხისმგებლობაზე, ზუსტად გათვალონ მათი პროექტების გავლენა სოციუმზე, ეკოლოგიასა და ბუნებრივ რესურსებზე და გაითვალისწინონ საზოგადოების ინტერესები.

ტელეკომპანია „ბორჯომი“

# ნინო ვართაპეტიანი

## კორონავირუსის გავლენა ტურიზმზე და ადგილობრივ მოსახლეობაზე

ჟურნალისტი სტატიაში მოგვითხრობს კოვიდ პანდემიით გამოწვეულ კრიზისზე ბორჯომის სასტუმრო სექტორში, რომელმაც ასობით ადამიანი უმუშევარი დატოვა.

სტატიაში გაერთიანებულია ინტერვიუები, როგორც სექტორში დასაქმებულ პერსონალთან, ისე მათ დამსაქმებელთან, რაც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ პრობლემა რამდენიმე პერსპექტივიდან. აქვე ჟურნალისტი გვაცნობს იმ ბიზნესებს, რომლებმაც კორპორაციული პასუხისგებლობის მაგალითები გვაჩვენეს და პერსონალის შემოსავალზე დახურული სამუშაო ადგილების პირობებშიც იზრუნეს.

სტატიის მიზანია ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზე, თუ როგორ შეიძლება ბიზნესების მიერ წარმატებული გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარებამ სასიკეთო გავლენა იქონიოს საზოგადოების კეთილდღეობაზე.

## საზოგადოებრივი მაუწყებელი

# მარიამ ვაჩნაძე

## ქართული სიესარის (CSR) ყულაბა - ქველმოქმედება თუ პასუხისმგებლობა

საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „ბიზნესპარტნიორისთვის“ დაწერილ სტატიაში, მარიამ ვაჩნაძე გვიამბობს საქართველოში კორპორაციული პასუხისმგებლობის ისტორიასა და თანამედროვე ტენდენციებზე.

სტატიაში აღწერილია, როგორ დანერგა ალექსანდრე სარაჯიშვილმა მუშების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები თავის ქარხანაში და ამით კორპორაციული პასუხისმგებლობის პირველი მაგალითი გვაჩვენა ჯერ კიდევ 100 წლის წინ. ვაჩნაძე ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად CSR-ის ხანგრძლივი ისტორიისა, ქართულ კომპანიებს დღემდე უჭირთ გაითავისონ მისი მნიშვნელობა და ამის დასადასტურებლად კვლევის შედეგები მოჰყავს, რომლის თანახმადაც ქართული კომპანიების მხოლოდ 5%-ს აქვს გაწერილი CSR სტრატეგია.

ჟურნალისტის მიზანია, სხვადასხვა მსხვილი კომპანიის წარმომადგენლებისგან აღებული ინტერვიუების საფუძველზე გვაჩვენოს საქართველოში კორპორაციული პასუხისმგებლობის წარმატებული მაგალითები და მათი სარგებელი.

## გაზეთი „ჩემი ხარაგაული“

# ნინო კაპანაძე

## მომავალში ქარსაცავი ძალიან მნიშვნელოვანი გახდება

გაზეთში „ჩემი ხარაგაული“ გამოქვეყნებულ სტატიაში ნინო კაპანაძე გვიყვება სოფელ საფარაში, ფეროშენადნობი ქარხნისა და „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტის შესახებ, რომლის მიზანი სოფლის გამონაბოლქვისგან დასაცავად ქარსაცავი ზოლის შექმნა იყო.

ქარსაცავი ზოლის გასაშენებლად, სოფლის მაცხოვრებლებმა ალვისა და კვიპაროსის ხეების დარგვაში მიიღეს მონაწილეობა, რაც ჟურნალისტის აზრით, საზოგადოების, ბიზნესისა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის ეფექტური მაგალითია.

ამ კონკრეტული ინიციატივის წარდგენით, ჟურნალისტი ხაზს უსვამს კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების ეკოლოგიურ და სოციალურ სარგებელს საქართველოს სოფლებისთვის.

პორტალი UFLEBA.GE

# გელა მამულაშვილი

## სოციალური პასუხისმგებლობა გადაგვარჩენს

პორტალ www.ufleba.ge-სთვის შექმნილ ბლოგში გელა მამულაშვილი თავის ხედვას გვიზიარებს კორპორაციულ პასუხისმგებლობაზე და გვაცნობს ამ მიმართულებით საქართველოში არსებულ ნეგატიურ და პოზიტიურ პრაქტიკებს.

მამულაშვილს წინა პლანზე გადმოაქვს ის ტენდენციები, რომლის გასაუმჯობესებლად ქართულ კომპანიებს მეტი მუშაობა სჭირდება და პირად თუ მეგობრების გამოცდილებებს გვიზიარებს.

ბლოგში ასევე წარმოდგენილია ინტერვიუ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კლუბის თავმჯდომარესთან კახა მაღრაძესთან, რომელიც აღწერს იმ შეღავათებს, რომლებსაც კომპანიები CSR სტრატეგიის დანერგვის შემდეგ სახელმწიფოსგან იღებენ. აქვე საუბარია მედიის როლზე კორპორაციული მდგრადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში და იმ გაკვეთილებზე, რომლებიც კომპანიებმა კორონავირუსის მიერ მოტანილი გამოწვევების შედეგად ამ მიმართულებით უნდა გაითვალისწინონ.

„АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ“

# ქეთევან მღებრიშვილი

## სათბური ციხის გისოსებს მიღმა

გაზეთ „Аргументы и факты“-ში გამოქვეყნებულ სტატია-ში, ქეთევან მღებრიშვილი გვიყვება საქართველოს ფერმერ-თა ასოციაციისა და სიდას მიერ განხორციელებულ პროექტზე, რომლის ფარგლებშიც საქართველოში არსებულ სამ საპატიმ-როში შეიქმნა სათბურები, სადაც მსჯავდებულებს შესაძლებლო-ბა ჰქონდათ ყვავილები მოეყვანათ.

სტატია აღწერს, როგორ და რატომ შეიქმნა პროექტი და რა ფაქტორების გათვალისწინება მოუხდათ ორგანიზატორებს. სა-ქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და სიდას წარმომადგენ-ლებთან ინტერვიუებიდან ვიგებთ, როგორ დაიგეგმა პროექტი და რა აქტივობები განხორციელდა მისი პოპულარიზაციისათ-ვის.

სტატიაში აღწერილი პროექტი ხაზს უსვამს კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში გატარებული აქტივობების რო-გორც მრავალფეროვნებას, ისე მის სოციო-ეკონომიკურ სარგე-ბელს.

„АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ“



# ქეთევან მღებრიშვილი

## ისწავლე სახლიდან გაუსვლელად

„ისწავლე სახლიდან გაუსვლელად“ გვიყვება სილქნეტის მიერ შექმნილ პროექტ „საშინაო სკოლაზე“, რომელმაც განსაკუთრებული პოპულარობა კოვიდ-19 პანდემიის პირობებში მოიპოვა.

სტატიაში აღწერილია პროექტის დაწყების ისტორია, „საშინაო სკოლის“ გაკვეთილების სპეციფიკა და ინიციატივის შესაბამისობა კორპორაციულ მდგრადობასთან.

ჟურნალისტის მიზანია გაგვაცნოს კორპორაციული პასუხისმგებლობის არსი და მისი პოზიტიური გავლენა ქვეყნის მდგრად და გრძელვადიან განვითარებაზე.

„АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ“

# ქეთევან მღებრიშვილი

## ბაღი პენიტენციურ დაწესებულებაში

სტატია მოგვითხრობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წამოწყებული პროექტის შესახებ, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაცია „რეფორმერის“ თანადგომით, გლდანის #8 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს შესაძლებლობა მიეცათ მოეყვანათ სხვადასხვა ხილ-ბოსტნეული.

საპატიმროში მოყვანილი პროდუქცია იყიდება მსხვილ მარკეტებში, კაფე „ლიტერა“ კი აქ წარმოებულ პომიდორსა და ლობიოს ყიდულობს და თავის კერძებში იყენებს. გაყიდვებიდან შემოსული თანხის ნაწილი კვლავ პროექტს ხმარდება, ნაწილი კი მსჯავდებულთა ბარათებზე ირიცხება.

სტატიის მიზანია, აამაღლოს ცნობიერება ბიზნესის მსგავს პროექტებში მონაწილეობის მნიშვნელობასა და მათი კორპორაციული მდგრადობის სტრატეგიებში ინტეგრირებაზე.

1 სიღარიბის აღმოფხვრა

4 ხარისხიანი განათლება

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

SDG პიონერი

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის საქართველოში

NEWS

FIRST NEWS



# ნინო ოთარაშვილი

## ვინ და როგორ უნდა იზრუნოს მოზარდების არაფორმალურ განათლებაზე

სააგენტო First News-ის სტატიაში ნინო ოთარაშვილი გვესაუბრება არაფორმალური განათლების მნიშვნელობაზე და იმ სტრატეგიებზე, რომლითაც ბიზნესები მსგავსი განათლების მიღებას ხელს უწყობენ.

ჟურნალისტმა ინტერვიუ აიღო საქართველოს 3 სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებისგან და ჰკითხა მათ იმ ცვლილებების შესახებ, რომლის ნახვასაც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ისურვებდნენ.

სტატიაში ასევეა ინტერვიუ საქართველოს ბანკის შიდა ჩართულობისა და CSR ხელმძღვანელ თამარ გოჩაშვილთან, რომელიც არა მხოლოდ იმ პროექტებზე საუბრობს, რომლებსაც საქართველოს ბანკი არაფორმალური განათლების პოპულარიზაციისათვის ახორციელებს, არამედ უფრო ფართოდ, SDG 4: ხარისხიანი განათლების მისაღწევად.

კვირის პალიტრა

www.kvirispalitra.ge

კვირის პალიტრა

# თიკო ოსმანოვი

## როგორ ესმით საქართველოში ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

თიკო ოსმანოვის გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული სტატია განიხილავს კორპორაციული მდგრადობის წინაშე არსებულ გამოწვევებს საქართველოში და გვაცნობს კომპანიებს, რომლებმაც კორპორაციული პასუხისმგებლობის მაგალითები კოვიდ პანდემიის პირობებში აჩვენეს.

სტატიაში თავმოყრილია ინტერვიუები მსხვილი ბიზნეს კომპანიების და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წარმომადგენლებთან. ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები მათ კომპანიაში არსებულ სტრატეგიებზე და განხორციელებულ აქტივობებზე გვესაუბრებიან, გლობალური შეთანხმების კოორდინატორი კი განმარტავს ფუნდამენტურ განსხვავებს ქველმოქმედებასა და კორპორაციულ პასუხისმგებლობას შორის.

სტატიის მიზანია აამაღლოს ცნობიერება კორპორაციული მდგრადობის შესახებ და დაგვანახოს ის უპირატესობები, რაც მას ბიზნესებისა და საზოგადოებისთვის მოაქვს.

ekofact.com
ეკოლოგია, გარემო, ტურიზმი

ეკოფაქტი

# ოლიკო ცისკარიშვილი

## საქართველოში, ბიზნეს ორგანიზაციებმა უნდა გაიაზრონ კორპორაციული პასუხისმგებლობის მნიშვნელობა

სააგენტო „ეკოფაქტისთვის“ მომზადებულ სტატიაში, ოლიკო ცისკარიშვილი საუბრობს კორპორაციული პასუხისმგებლობის ისტორიაზე, დასავლურ სტანდარტებსა და საქართველოში დანერგილ პრაქტიკებზე.

სხვადასხვა მსხვილი ბიზნესის წარმომდგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე, ჟურნალისტი მათ კორპორაციული მდგრადობის სფეროში მოპოვებულ გამოცდილებას გვიზიარებს. სტატია გვთავაზობს მრავალფეროვან სტატისტიკას საქართველოში კორპორაციული პასუხისმგებლობის სტანდარტების დანერგვასა და ბიზნესების ამ სფეროში პროგრესის შესახებ.

ჟურნალისტის მიზანია დაგვანახოს როგორ ვითარდება კორპორაციული მდგრადობა საქართველოში და რა რეფორმებია აუცილებელი გრძელვადიანი ცვლილების შესაქმნელად.

საზოგადოებრივი
მაუწყებელი



# ეკა გაზდელიანი

## ბიზნესი და სოციალური პასუხისმგებლობა

გადაცემა „ბიზნესპარტნიორისთვის“ მომზადებულ სიუჟეტში, ეკა გაზდელიანი ქართული კომპანიების მიერ კორპორაციული მდგრადობის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს გვაცნობს.

სიუჟეტი გვაცნობს სათამაშოების კომპანია „ჩიკატაისა“ და WWF Georgia-ს ერთობლივ პროექტს საქართველოში ქურციკების კონსერვაციისათვის; კომპანია „ჯინვენტორის“ ეკომეგობრულ დამტენს, რომლის გაყიდვებიდან შემოსული თანხა პოლიეთილენის ნარჩენებისგან ბუნების დასუფთავებას ხმარდება; ბიზნეს-საკონსულტაციო კომპანია „ეისითის“ პროექტს მცირე ბიზნესების ხელშესაწყობად და „კრისტალის“ პროექტებს ინკლუზიური განვითარების, ბუნების დაცვისა და ქალთა გაძლიერების მიმართულებით.

სიუჟეტის მიზანია ხაზი გაუსვას კორპორაციული მდგრადობის სარგებელს, როგორც თავად ბიზნესების, ისე საზოგადოებისთვის.

იმედი

# მაგდა მამაცაშვილი

## ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში

ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „იმედის დილისთვის“ მომზადებულ სიუჟეტში, მაგდა მამაცაშვილი კორპორაციული პასუხისმგებლობის თემატიკაზე საუბრობს და CR-ის ფარგლებში საქართველოში და საზღვარგარეთ განხორციელებულ პროექტებს გვაცნობს.

სიუჟეტში წარმოდგენილია ინტერვიუები პიარ სპეციალისტთან, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელისა და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენლებთან, რომლებიც ბიზნესებისა და საზოგადოებისთვის კორპორაციული მდგრადობის სარგებელზე საუბრობენ.

სიუჟეტის მიზანია წარმოაჩინოს ის სტრატეგიები, რომლებიც კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში წარმოებულ პროექტებს ეფექტურს ხდის და გრძელვადიანი პოზიტიური სოციო-ეკონომიკური ცვლილება მოაქვს.

საზოგადოებრივი
მაუწყებელი

# ქრისტინე გამთენაძე

## სოკარ ენერჯი ჯორჯიას ახალი კამპანია

გადაცემა „ბიზნესპარტნიორისთვის“ მომზადებულ სიუჟეტში, ქრისტინე გამთენაძე გვიყვება „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ინიცირებული პროექტის შესახებ.

სიუჟეტის მიხედვით, კომპანიამ საქართველოს სამ რეგიონში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ, შშმ და ხანდაზმულ პირებს კოვიდ პანდემიით გამოწვეული პრობლემების დასაძლევად საკვები პროდუქტები გადასცა.

სიუჟეტის მიზანია დაანახოს საზოგადოებას კრიზისულ პერიოდში კორპორაციული პასუხისმგებლობის გამოჩენის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

რადიო „იმედი“

# ნინო ხუგაშვილი

## ბიზნესის კორპორაციული პასუხისმგებლობა და სექტორთა შორის პარტნიორობა

რადიო „იმედის“ გადაცემა „დღის არხში“ ნინო ხუგაშვილი განიხილავს კორპორაციულ პასუხისმგებლობას კოვიდ პანდემიის პირობებში და ბიზნესებს შორის პარტნიორობის მნიშვნელობას გამოწვევების დაძლევის პროცესში.

გადაცემაში მოწვეული სტუმრები - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლები საუბრობენ ბიზნესების მიერ გამოჩენილ პასუხისმგებლიან ინიციატივებზე, ერთობლივი რესურსებით პრობლემათა დაძლევის ეფექტურობასა და საქართველოში არსებულ ტენდენციებზე CSR მიმართულებით.

გადაცემის მიზანია პარტნიორობის მრავალფეროვნებაზე ცნობიერების ამაღლება და კორპორაციული პასუხისმგებლობის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური სარგებლის წარმოჩენა.